

წერილი¹

არქიმანდრიტ ქრისანტოსისა მესტამბეს, სნაგოვის მონასტრის ილუმენ, მღვდელმონაზონ ანთიმოზისადმი

კონსტანტინოპოლი, 3 ოქტომბერი, 1700²

მორწმუნე და სულიერ კაცთა შორის უღვთისმოსავესა და ღირს მამას და ყოველთა მეტად ქრისტესმიერ სანატრელ მეუფე მეუფე ანთიმოზს, ქრისტესმიერი ამბორი. შენი პატიოსანი წერილი³ იმავ დღეს გადმომეცა უნეტარესი მამისა ჩვენისა, ანტიოქიის ყოფილი პატრიარქის - მეუფე მეუფე ათანასიოსისგან, რომელიც ჩემ გვერდითაა ახლა.

იმ დღევანდელი ინცინდენტის შესახებ, , რაზეც აქამდე არაფერი მიპასუხია, და რაც ეხება სამეფო ბრძანებაში დაეჭვებას ღვთისმსახურების წესის ორსავე ენაზე - ვგულისხმობ ბერძნულსა და არაბული ასოებით დაბეჭდად.

ახლა კი მისი უმაღლესობის⁴ გადაწყვეტილების შემდეგ, მისი უნეტარესობის⁵ განზრახვის თანახმად, რაკილა მოხმობილნი ვართ მისი უბრწყინვალესობის უწმინდესი ბრძანებით ამავე საქმეზე, დაგვიდგა დრო, რომ სამეფო ბრძანებას დავემორჩილოთ. აჰა, გიგზავნით ადამიანს, რათა ვეცადოთ წიგნის⁶ გასწორებას. არჩევის, მორჩილებისა და სხვა სახის მაღლიერების გამო, ჩვენი გამოცდილებიდან მომდინარე უფრო მეტად ჩვენ გაგვაბედნიერებ, ვიდრე საკუთარ თავს. ვინაიდან ნაბეჭდის სისწორე არაა მცირე სახელი და სიქადული გამომცემელთათვის.

დაე, ჩვენი ნაბეჭდი წიგნი იყოს ამგვარი სიქადული [გადახაზულია ან წაშლილია დოკუმენტში] და ეს არანაკლებია თუ არა მეტი, რამდენადაც მის გასწორებაზე უფრო რთული თქვენი უკეთილშობილესობის წარმატება იქნება, ვინაიდან როგორც მხატვართა სურათები რჩება მათი კარგი თუ ცუდი ოსტატობის მარადიულ მაცნეებად, ასევე დაბეჭდილი წიგნები სამარადჟამოდ რჩებიან შეუმცდარ მაცნეებად გამომცემელთა საქმეში გამოცდილებისა თუ გამოუცდელობის ნაკლებობისაა,

მზრუნველობისა თუ უყურადღებობისა, ტიპოგრაფიის საქმის ცოდნისა თუ უცოდინრობისა.

ყოველგვარი კეთილხელოვანების მაღლი შენდა ოქროცურვილად უბრწყინვალესო ყვავილო, მეუფე ანთიმოზ!¹ კარგი იქნება თუ წერილობით უპასუხებ² და განაცხადებ არსებულ საქმეს, რაც გულს გაუხარებს მათ, ვინც პატივს სცემს და უყვარს ისინი.

**მხსნელიდან ჩვ (1700) წელი: -
3 ოქტომბერი.**

უნეტარესა და უწმინდეს [პატრიარქს: წაშლილია] მეუფეს, ვითარცა გამორჩეულ [ეპისკოპ?] პოსს გამორჩეული თაყვანისცემა ჩემგან; ამბორს ვუყოფ მარჯვენა მხარზე, მისგან განწმენდის მისაღებად. ღვთის ყოვლისმომცველი განჭვრეტა მოგვემადლოს და ყოველივე მიგვეყვანოს ბოლომდე და მიგვეჩინოს ადგილი [სასუფეველში] ქრისტეს მიერ. დაე, იქმნეს! დაე, იქმნეს!

ყოვლად უწმინდესსა და ყოვლად პატივსაცემ და ქრისტეს მიერ ჩემთვის ყველაზე სანუკვარ წმინდა იღუმენს, მეუფე მეუფე ანთიმოზს - მესტამბეს, სიხარულით.

კომენტარები:

¹ ამ წერილის დედანი/ორიგინალი არ არის შემონახული. წარმოდგენილი ტექსტი არის ასლი. ბერძნულენოვანი ტექსტისა „Επιστολή του Αρχιεπισκόπου Χρυσόστομου προς τον ιερομόναχο Άνθιμο, καθήγοισμένο της Ι.Μ. Σναγκόβ, για τη σύσταση ενός τυπογραφείου – Κωνσταντινούπολη, 3 Οκτωβρίου“, რომელიც ინახება პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკაში, *Supplément grec 1248*, ფ.127r (გამოუცემელი). ბერძნულიდან თარგმნა თათია მთვარელიძემ. წინამდებარე ტექსტი რუმინულ თარგმანთან „Scrisoarea către ieromonahul tipograf Antim, egumenul mănăstirii Snagov – 1700, 3 octombrie შეჯერდა ა. ზაქარიადისა და დეკანოზ ალექსი ქშუტაშვილის მიერ. იხ. კრებული- ანთიმოზ ივერიელი; წერილები, ბუქარესტი, გამ-ბა ბაზილიკა, 2016. გვ. 47-51. Scrisori / Sfântul Antim Ivireanu ; lucrare publicată cu binecuvântarea Preafericitului Părinte Daniel, Patriarhul Bisericii Ortodoxe Române ; ed. îngrijită de Arhimandrit Mihail Stanciu și acad. Gabriel Ștrempel. - București : Basilica, 2016.

² ანთიმოზ ივერიელის მკვლევარი და წინამდებარე ტექსტის რუმინულ ენაზე მთარგმნელი არქიმანდრიტი მიქაელ სტანჩიუ თვლის, რომ ეს დოკუმენტი ავთენტურია, რადგან მასში მოცემული ინფორმაცია და სხვა ბერძნულ კოდექსებში მოცემული ინფორმაცია ემთხვევა და დასტურდება სხვა სანდო ისტორიული მტკიცებულებებით. მხოლოდ ერთი მკვლევარი პროფ. ათანასიოს კარატხა თვლის, რომ მისი ავტორი შესაძლოა იყოს პატრიარქი დოსითეოსი. იხ. Οι Έλληνες λόγιοι στη Βλαχία (1670-1714), ედ. კირიაკიდისი, თესალონიკი,

2000, გვ. 245-246. არქ. მიქაელის აზრით წერილის ავტორი არის ხრისანტოსი. ამ უკანასკნელს, დროთა განმავლობაში, მდიდარი ეპისტოლარული მიმოწერა აკავშირებდა ანთიმოზ ივერიელთან, ამ მიმოწერის მხოლოდ ნაწილია, სამწუხაროდ შემორჩენილი. წარმოდგენილი წერილი წარმოადგენს რეკომენდაციების, მინიშნებებისა და მიეზის კონტექსტის შემცველი მიმოწერის ფრაგმენტს. ავტორი და ანთიმოზ ივერიელი ეძებენ ბუქარესტში მოღვაწე არაბული და ბერძნული ენების მცოდნე მესტამბეს, რომელიც შესძლებს ადასრულოს კონსტანტინე ბრინკოვიანუს განკარგულება, რომელიც ეხება ანტიოქიის პატრიარქისათვის ათანასიოს III დაბას თხოვნას მისი სამწყსოსთვის- სირიელი ქრისტიანებისათვის საღვთისმსახურო წიგნების დაბეჭდვას.

³აქედან ჩანს, რომ მღვდელმონაზონ ანთიმოზ ივერიელს უკვე გადაგზავნილი აქვს წერილი კონსტანტინოპოლში თხოვნით დაეხმარონ არაბული ენის კარგადმცოდნე თანამშრომლის მოძიებაში. სამწუხაროდ, ამ წერილის თაობაზე ამ ეტაპზე არაფერია ცნობილი მკვლევრებისათვის, მას ჯერჯერობით ვერც ერთ არქივში ვერ მიაკვლიეს.

⁴ იგულისმება კონსტანტინ ბრინკოვიანუ

⁵ 1701 წელს გამოცემულ არაბი მღვდლებისთვის მიმართულ წინასიტყვაობაში ბერძნულ-არაბული ლიტურგიისა პატრიარქი ათანასიოს დაბასი საუბრობს არაბი (სირიელი) ხალხის ენაზე წიგნების დაბეჭდვის ინიციატივაზე . ფინანსურად ამ საქმეს მხარს უჭერს მთავარი კონსტანტინე ბრინკოვიანუ ხოლო პრაქტიკულად საქმეს უძღვება მღვდელმონაზონი ანთიმოზ ივერიელი და მისი მოწაფეები: „მის სიდიადეს იცავს ღმერთი და ღვთისადმი პატივისცემა, მან ნებაყოფლობით მიიღო ჩვენი თხოვნა და ღმერთის შემდეგ, მან უბრძანა სტამბის ოსტატობას მისი უზენაესობის მახლობლად მყოფ, ღვთისმოსავს მღვდელმონაზონთა შორის, კირ ანთიმოზ ივერიელს, უხვად და საკუთარ ხარჯით აძლევდა წერილებს ფრთხილად იჭრებოდა არაბული და ახალი არაბული სპილენძის მატრიცები, წმინდა ლიტურგიის მსახურების ბერძნულ და არაბულ ენებზე დასაბეჭდად. ღვთის შეწევნით და მისი უდიდებულესობის ხარჯებით, ჩვენი დაუღალავი ზრუნვით და შესწორებით, და დაბეჭდილი, როგორც ჩანს, მან ბრძანა, რომ მისი დიდება უფასოდ გადაეცა ყველას არაბეთის მართლმადიდებელი მღვდლებისგან მისი ხსნისათვის” - იხ. ემილ ლეგრანდი „ელინური ბიბლიოგრაფია: მეთვრამეტე საუკუნეში ბერძნების მიერ გამოქვეყნებული ნაწარმოებების დასაბუთებული აღწერა ტ. I, Librairie Garnier Frères, Paris, 1918, გვ. 8. კვლევებით დასტურდება რომ, სტამბა გაიგზავნა 1704 წელს, ქ.ალეპოში, მღვდელმონაზონ ანთიმოზ ივერიელის მიერ, მას ჰქონდა სპილენძის ასოები და არა ტყვიისა, რაც მანამდე იყო გამოიყენებული. ამ საკითხზე ვრცლად საუბრობს თავის მონოგრაფიაში თანამედროვე რუმინელი მეცნიერი იოანა ფეოდოროვი. ასევე იხ. მისივე „ანთიმოზ ივერიელისა და პატრიარქ ათანასიოს III დაბასის თანამშრომლობა ანტიოქიის საპატრიარქოსთან” კრ-ში“ საქართველო და ევროპული სამყარო - ფილოსოფიურ-კულტურული დიალოგი. ტომი II. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2017.

⁶ აქ იგულისხმება მღვდელმონაზონი ეგნატე ფიტანეს მიერ კორექტირებული ორი ბერძნულ-არაბული წიგნი. ეს წიგნები „საღვთისმსახურო“ და „ჟამნი“ 1701 და 1702 წლებში დაიბეჭდა ანთიმოზ ივერიელის მიერ სნაგოვის მონასტერში.

⁷ ამ მოკლე და ყოვლისმომცველი მხატვრული სიმბოლოს შემცველი ფრაზით ამკობს ავტორი ანთიმოზის ღვაწლს, ხაზს უსვავს რა მისი სახელის Ἀνθίμος - ყვაველი-მნიშვნელობას.

⁸ ანთიმის ეს, მეორე პასუხად დაწერილი წერილი ჯერ არაა აღმოჩენილი.